

community

The New Apostolic Church around the world

01/2020/GE

2020 წლის დევიზი:

ქრისტე გაგვათავისუფლებს!

რედაქციისგან
ქრისტე გაგვათავისუფლებს

ღვთისმსახურება
ღმერთი ხსნას გვანიჭებს

მოძღვრება
აჰა, მოვალ მაღე!

New Apostolic Church
International



■ რედაქციისგან

- 3 ქრისტე
გაგვათავისუფლებს!

■ ღვთისმსახურება ბრემპტონში

- 4 ღმერთი ხსნას გვანიჭებს

■ საბავშვო კუთხე

- 12 ვენახში მომუშავეების
შესახებ
- 14 სტუმრად ვალენტინთან
პარიზში (საფრანგეთი)

■ დოქტრინა

- 16 აჰა, მოვალ მალე!

ქრისტე გაგვათავისუფლებს!

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

იმედია, რომ კარგი წელი მოიტოვებ უკან! ვისურვებდი, რომ ყოველთვის გქონოდათ საკმარისი მიზეზი, რათა მადლობა გადაუხადოთ უფალს მისი სიკეთეებისათვის!

და აი, ახალი წელიც დაიწყო. უკვე ტრადიციად იქცა ის, რომ სამხ. მოციქულებთან შეთანხმებით ყოველწლიურ დევიზს ვაქვეყნებ: 2020 წლის დევიზი ასე ჟღერს: ქრისტე გაგვათავისუფლებს!

ამასთან დაკავშირებულ ბიბლიურ ციტატას პავლე მოციქულის ეპისტოლეში ვხვდებით გალატელთა მიმართ: „თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით და ნულარ შეუდგებით მონობის უღელს“ (გალ. 5, 1).

თავისუფლება ეს უდიდესი და ძვირფასი ქონებაა! ამასთანავე, ჩვენ, ღვთის შვილები, მარტო ამქვეყნიურ ყოფიერებაზე არ ვართ ორიენტირებულნი. ქრისტეში თავისუფლებას პირველ ადგილზე ვაყენებთ:

- ღმერთი სრულიად თავისუფალია. მისი სიყვარული ჩვენს მიმართ უპირობოა;
- ჩვენ შეგვიძლია, თავისუფლება ავირჩიოთ;
- ქრისტე გვათავისუფლებს - ცოდვისგან, ბოროტისგან, ყოველი გასაჭირისგან.

ჩემი რჩევა 2020 წლისათვის იქნება ის, რომ ამ სულიერ დინამიკაზე ვიყოთ კონცენტრირებულნი: ქრისტე გაგვათავისუფლებს!



ფოტო: საერთაშორისო ასსე

ერთი რამ აქ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია: ქრისტეში თავისუფლება ღვთიური წყალობაა. მოდით, უფალს ჩვენი გათავისუფლების საშუალება მივცეთ და მთლიანად მივუდეთ სულიწმიდის ზემოქმედებას.

ვციტ რა, რომ ვუყვარვართ ყოვლადღმობიერ ღმერთს, იმედიანად ვუყურებთ მომავალს. ვრჩებით რა ქრისტეს ერთგულნი, ჩვენს მომავალსაც შესაბამისად ვაყალიბებთ.

მოციქულების სახელით ყველას გულითადად მოგესალმებით და გისურვებთ კურთხეულ და ბედნიერ ახალ წელს!

ჟან-ლუკ შნაიდერი



ღვთისმსახურების 360-მა მონაწილემ პირველმოციკულთან ერთად იზეიმა ღვთისმსახურება ბრემპტონის (კანადა) თემში.

ფოტო: კანადის ახსე



ღმერთი ხსნას გვანიჭებს

ბიბლიური ციტატა: ფსალმ. 134, 6

„ყოველივე, რაც სურდა, მოიმოქმედა უფალმა, ცაში და ქვეყანაზე, ზღვებზე და ყოველ უფსკრულში.“

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, აქ და შემოერთებულ თემებში, დღეს დილით იმისათვის შევიკრიბეთ, რომ ღვთის სიტყვა მოვისმინოთ. ღმერთს სურს, რომ ყველა ჩვენთაგანს მოგვმართოს. ის მოწმუნეთა ერთ ჯგუფს კი არ მიმართავს, არც თავის ხალხს, არამედ ის მიმართავს თვითეულ ადამიანს იმ პირობებში, რომელშიც ის იმყოფება. მას სურს, რომ თვითეულ ჩვენთაგანს, თვითეულ მის შვილს, დაელაპარაკოს. ის იმასაც მიმართავს, ვისაც სარწმუნოებრივ ცხოვრებაში ჩაეძინა. ასეც ხდება. შეიძლება ზოგიერთ ახალგაზრდას - ხანდაზმულებსაც კი, ვინ იცის - ისეთი შთაბეჭდილება რჩებათ, რომ სულ ერთი და იგივე მეორდება. ახალი აღარაფერი ხდება. გამუდმებით ერთი და იგივე ისტორია, იგივე მუსიკა, იგივე

ხალხი ... ეს ყველაფერი ერთფეროვანებას იძენს. არაფერი ხდება, არაფერი იცვლება. და ასე ადამიანი ნელ-ნელა მილს აძლევს თავს.

გაიხსენეთ პავლეს ისტორია ტროაში. პავლე იქ დიდხანს ქადაგებდა, შუალამემდე, ამასობაში ერთ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ფანჯარაში იჯდა, ჩაეძინა, რადგან პავლეს ქადაგება გაუგრძელდა. წმიდა წერილში ნათქვამია: „... ძილქუმმა მოიცვა [იგი] და მძინარე მესამე სართულიდან გადავარდა და მკვდარი აიყვანეს. ჩამოვიდა პავლე, დაემხო მას, მოეხვია და თქვა: 'ნუ შეშფოთდებით, ვინაიდან სული მისი მასთანვეა'“ (საქმე 20, 9. 10).

საყვარელო ძმებო და დებო, შეიძლება ვინმე ასე ფიქრობდეს: „აქ უკვე აღარაფერია, ჩემი რწმენა მკვდარია.“ შეიძლება მას ეს ყველაფერი ჩვევად ექცა.

დღეს მან უნდა იგრძნოს, რომ ღვთიური სიცოცხლე ჯერ ისევ აქ არის! სული ისევ ცოცხალია და მოთხოვნილებები გააჩნია, ის უფალთან თ ა ნ ა ზ ი ა რ ე ბ ი ს კ ე ნ ისწრაფვის, ღვთის სიტყვის მოსმენა სურს, წმიდა ზიარების მიღების სურვილი აქვს, მას იესოსთან ყოფნა უნდა.

არაჩვეულებრივი განცდაა, როცა ვინმე, ვისაც რწმენაში ჩაეძინა, უცრად მიხვდება, რომ მასში კიდევ ცოცხლობს რაღაც: „ეს ღვთიური სიცოცხლეა და სულს უნდა, რომ ამ სიცოცხლეს ის საზრდო მივაწოდო, რაც სჭირდება.“ არაჩვეულებრივი იქნებოდა, რომ ეს დღეს მომხდარიყო.

ალაბათ გაცოდით, როცა ეს სიტყვა მოისმინეთ: „ყოველივე, რაც სურდა, მოიმოქმედა უფალმა ...“ შეიძლება ამის წაკითხვისას უცნაური აზრები მოგვივიდეს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ღვთიური ყოვლისშემძლეობის აღწერაა. ღმერთი ყოვლისშემძლეა, მისთვის არ არსებობს ზღუდეები. მას ყველაფერი შეუძლია, შეუძლებელი მისთვის არაფერია. მას შეუძლია აკეთოს ის, რაც სურს, და ის აკეთებს იმას, რაც სურს. ეს მის დამოუკიდებლობასაც ნიშნავს. ვერავინ ეტყვის მას, თუ რა უნდა აკეთოს, ვერავინ აიძულებს მას, ვერც ადამიანი, ვერც სული, ვერც გარემოებები. ვერც გავლენას მოახდენს ვინმე მასზე. სწორი არ არის, როცა ამბობენ: „თუ გავაკეთებ ამასა თუ იმას, მაშინ ღმერთიც შესატყვისად მოიქცევა.“ არა! ის ზუსტად იმას აკეთებს, რაც სურს. ვერავინ აიძულებს მას

რაიმე კონკრეტულ ქმედებას, წმიდაც რომ იყოს იგი. რაც ღმერთს სურს, აკეთებს კიდევ. ეს იმასაც ნიშნავს, რომ რეალურად ვერ ვუგებთ მას, ვინაიდან მისი ნება და მისი ფიქრები საკმაოდ სცილდება ჩვენი გონების ფარგლებს. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ არ ვითვალისწინებთ ღვთის ნებას. შეიძლება ვერ გავუგოთ მას და არც დავეთანხმოთ, მაგრამ ღმერთი აკეთებს იმას, რაც სურს. მას სურს, რომ ყურად ვიღოთ მისი ნება. ეს უდავოა. მას ყველაფრის გაკეთება შეუძლია. ის აკეთებს იმას, რაც სურს. ვერავინ შეძლებს მის იძულებას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თვითნებურად, წესების გარეშე და შემთხვევით მოქმედებს იგი. არა. ღმერთი ერთგულია. ეს განსაკუთრებული პუნქტია. ჩვენ შეგვიძლია, მივწოდოთ მას. ის ჭეშმარიტებაა. ის მართალია, ის სიყვარულია. ის ამბობს იმას, რასაც აკეთებს, და აკეთებს იმას, რასაც ამბობს.

ღმერთს უნდა, რომ ადამიანმა საუკუნოდ მასთან თანაზიარებაში იცხოვროს.

ახლა კი ერთი საინტერესო კითხვა: „რა არის ღვთის ნება? რისი გაკეთება სურს ღმერთს?“ - ეს ძალიან მარტივია. თავიდანვე ღმერთის სურვილი იყო ის, რომ ადამიანს, რომელიც მან შექმნა, მასთან თანაზიარება ჰქონოდა.

ღვთის ნება ასე შეიძლება შევაჯამოთ. ღმერთს უნდა, რომ ადამიანმა საუკუნოდ მასთან თანაზიარებაში იცხოვროს. ამისათვის შექმნა მან კაცი და ეს იყო და არის მისი ნება. ეს მარტივად გასაგებია. ცოდვით დაცემამ არაფერი არ შეცვალა ღვთის ნებაში. ღვთის ნება იგივე დარჩა და ადამიანის ქცევა ვერაფერს შეცვლის მასში. მისი სურვილია, რომ მასთან თანაზიარება გვქონდეს. ასეთია მისი ნება და ის აკეთებს იმას, რაც სურს. უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაფერი, რასაც ღმერთი აკეთებს ან ოდესმე გაუკეთებია, ამ მიზანს ემსახურება. მას სურს, რომ ყველა ადამიანმა მიაღწიოს ხსნას და, რომ ყველას ჰქონდეს მასთან თანაზიარება.

მისი სუვერენული ნებაა, რომ ხსნისკენ მხოლოდ ერთი გზა არსებობს, რომ მასთან თანაზიარების მხოლოდ ერთი გზა არსებობს, და ეს არის რწმენა იესო ქრისტეს მიმართ. იესომ თავად თქვა: „მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით“ (იოან. 14, 6). სხვა არც ერთ სახელში არ არსებობს ხსნა, თუ არა მარტო იესო ქრისტეში (საქმე 4, 12). ეს ღვთის ნებაა და ადამიანს სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა მისი გათვალისწინება. ამაზე კამათი არ შეიძლება: „მაგრამ ეს ცოტა უსამართლობა ხომ არ არის? იმდენი კეთილი ადამიანია, ვისაც არ სწამს იესო ქრისტესი.“ აქ ზნეობაზე არ არის ლაპარაკი. აქ ღმერთთან

თანაზიარებზეა ლაპარაკი. მოსწონთ თუ არა ადამიანებს, მხოლოდ ერთი გზა არსებობს და ეს იესო ქრისტეა. ეს არის ერთადერთი გზა, სხვა არ არსებობს. ადამიანს უნდა სწამდეს იესო ქრისტესი. ვიცი, რომ დღეს ბევრი სხვაგვარად უყურებს ამას და ფიქრობს, რომ ღმერთთან მისასვლელად ერთზე მეტი გზა უნდა არსებობდეს. ეს ნამდვილად არ არის ასე. ღმერთს არ სჭირდება, რომ გვესმოდეს მისი. ის მხოლოდ ამბობს: „მე ვაკეთებ იმას, რაც მინდა, და შენ ეს უნდა გაითვალისწინო. დაე, იკამათონ.“ ეს არ არის დისკუსიის საგანი. ისეა, როგორც არის. არსებობს მხოლოდ ერთი გზა: იესო ქრისტე; მისი უნდა გვწამდეს.

ღმერთის მოწოდებაც მისი ნების გამოხატულებაა - განსაკუთრებით იესოსთან მისვლისა და მისი მიმდევრობისკენ მოწოდება. ღმერთი ყოველთვის მაშინ და იმას მოუწოდებს, როცა და ვისაც სურს. და კიდევ ერთხელ: ჩვენ ამის გაგება არ შეგვიძლია. არც არანაირი ახსნა-განმარტება არსებობს ამასთან დაკავშირებით. მან გადაწვიტა, რომ ხსნის გეგმა საფეხურების მიხედვით უნდა განვითარდეს. ჩვენ ქრისტეს მეორედ მოსვლას ველოდებით. ველოდებით, რომ, როგორც ქრისტეს სასძლოს ნაწილმა, მონაწილეობა მივიღოთ კრავის ქორწილში და, როგორც პირმშობმა, ღვთის სასუფეველში შესვლა შევძლოთ. მომდევნო საფეხური დიდი ვაების ჟამი იქნება. ვაების ჟამის სულეზსაც მოუხმობენ ღვთის სასუფეველში შესასვლელად, სხვებს კი - მშვიდობის სასუფეველში. იმის გაგება, თუ რატომ უხმობს ღმერთი დღეს ერთს, ხოლო მეორეს უფრო გვიან, არ შეგვიძლია. ნუ იკითხავ, თუ რატომ სურს ღმერთს ასე. მაინც ვერ გავიგებთ. თავმდაბლად უნდა მივიღოთ ღმერთის ეს გადაწყვეტილება. მხოლოდ ის ვიცით, რომ ამოგვირჩია. საიდან ვიცით ეს? საიდან და იქიდან, რომ მან წყლითა და სულით მონათვლის შესაძლებლობა მოგვცა. ჩვენი რჩეულების ნიშანი წყლისა და სულისგან ხელახლა დაბადებაა. ღმერთმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოეწოდებინა კონკრეტული ადამიანებისათვის. „ისინი მე ეკლესიის ჟამისათვის ავირჩიე, ისინი ქრისტეს ეკლესიის ნაწილი გახდებიან. და თუ გაჰყვებიან მოციქულებს და ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მოემზადებიან, მაშინ, როგორც პირმშობი, ჩემს სასუფეველში შემოსვლას შეძლებენ.“ ეს არის ჩვენთვის მთავარი. ვერ ვხვდებით, თუ რატომ ამოგვირჩიეს ან რატომ აკეთებს ღმერთი ამას ასე და არა სხვაგვარად. ასეთია ღვთის ნება. ჩვენ უბრალოდ უნდა გავითვალისწინოთ ის. უფალი იმას აკეთებს, რაც სურს. მაგრამ ის თვითნებურად არ მოქმედებს. ის ერთგულია. ის ამბობს, თუ რას აკეთებს, და აკეთებს იმას, რასაც ამბობს.



შექმნა რა ადამიანი, ღმერთმა თავისუფალი ნება მიანიჭა მას. მას არ უნდოდა, რომ ადამიანს იძულებით ეკეთებინა რამე. ღმერთის სასარგებლო გადაწყვეტილება მას საკუთარი ნებით უნდა მიეღო: „ჩემი სურვილია, რომ ვუპასუხო ღვთის მოწოდებას“ - ეს არის მთავარი. ღმერთი ერთგულია. მან შექმნა სამყარო. შექმნისას მან ადამიანს თავისუფალი ნება მიანიჭა და ის ყოველთვის პატივს სცემს ჩვენს მიერ ნებაყოფლობით მიღებულ გადაწყვეტილებას. მან ამოგვირჩია და უნდა, რომ მის მოწოდებას საკუთარი ნებით გავყვეთ. ხსნას ის არასოდეს მოგვახვევს თავს იძულებით. არასოდეს დაგვემუქრება: „მომისმინე, თუ ამასა და ამას არ გააკეთებ, საშინელება დაგატყდება თავს!“ - არა!

როგორ მოიქცა იგი ადამისა და ევას შემთხვევაში? მათ ღვთიური სიყვარულის განცდის

ღვთისმსახურება ბრემპტონიდან კანადის 60 თემში გადაიცემოდა; 360-მა მორმუნემ მიიღო მასში მონაწილეობა.



მოსწონთ თუ არა ადამიანებს, მხოლოდ ერთი გზა არსებობს: და ეს არის იესო ქრისტე

შესაძლებლობა ჰქონდათ, ისინი ღმერთთან ერთად კი ცხოვრობდნენ და იღებდნენ ყველაფერს, რაც სჭირდებოდათ. სიყვარულით მისცა მათ ღმერთმა ყველაფერი და უთხრა, თუ რას ელოდა მათგან, ასე იყო ეს. სხვა დანარჩენი მათი საქმე იყო. ღმერთს იძულება არ გამოუყენებია და არც გავლენა მოუხდენია მათზე. მხოლოდ ეს უთხრა: „როგორც ხედავთ, მიყვარხართ. მე დაგიმტკიცეთ სიყვარული, თქვენ მისი განცდა შეგიძლიათ. იგივეს ველი თქვენგანაც. ახალა კი თავისუფალი არჩევანი შეგიძლიათ გააკეთოთ.“

ზუსტად ასევე გვექცევა ჩვენც. ის მის სიყვარულში გვარწმუნებს და გვეუბნება, თუ რას მოელის ჩვენგან. არჩევანი ჩვენზეა: ვეტყვით ღმერთს თანხმობას თუ არას? ის არაფერს გვაიძულებს.

ჩვენ ვართ და ვიქნებით თავისუფლები. ღმერთი არ გვემუქრება, არც ზეწოლას ახდენს ჩვენზე. თავისუფლად შეგვიძლია გადავწყვიტოთ, თუ რისი გაკეთება გვსურს. ღმერთი იმის გარანტიას გვაძლევს, რომ ბოლომდე თავისუფლები ვიქნებით ჩვენს გადაწყვეტილებებში. თანხმობის მიცემას არასოდეს გვაიძულებს. ის ყოველთვის იზრუნებს იმაზეც, რომ არც მისთვის უარის თქმა გვაიძულოს ვინმემ

- და ეს არის მთავარი. სულერთია, რა გარემოებები არსებობს, ის ყოველთვის უზრუნველყოფს იმის შესაძლებლობას, რომ თანხმობა ვუთხრათ მას, ვუპასუხოთ მის მოწოდებას და გავყვეთ. ეს ძალიან მნიშვნელოვან რამ არის, ძმებო და დებო.

იფიქრეთ ამაზე. პავლე ამბობდა, რომ ვერაფერი განგვაშორებს ღვთიურ სიყვარულს (რომ. 8, 35). ეს იმას ნიშნავს, რომ, რაც არ უნდა მოხდეს, ღმერთი უზრუნველყოფს ჩვენთვის იმის თავისუფლებასა და შესაძლებლობას, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ და თანხმობა ვუთხრათ მას. სხვა შემთხვევაში, თუ ცდუნებები მძიმე იქნება, თუ განსაცდელი იმდენად დიდი იქნება, რომ ვერ გავუძლებთ და იძულებულნი გავხდებით, მივატოვოთ ღმერთი და აღარ ვუერთგულოთ მას, მაშინ თავისუფლები აღარ ვიქნებით. ღმერთს სურს, რომ თავისუფლები ვიყოთ, ამიტომაც ზრუნავს იგი იმაზე, რომ ნებისმიერ სიტუაციაში გვეკონდეს მისთვის თანხმობის მიცემის და მისი მიმდევრობის შესაძლებლობა. ეს მისი ერთგულების ნაწილია. ის პატივს სცემს წესებს და იმის გარანტიასაც იძლევა, რომ მასაც სცემენ პატივს. ამიტომაც ამოგვირჩია. ის გვეკითხება: „უპასუხებ ჩემს მოწოდებას?“ როგორც ყოველთვის ხდება - ან არ ხდება - ეს მხოლოდ შენზეა დამოკიდებული. გადაწყვეტილება შენი მისაღებია. ღმერთი ჩვენს გამოსყიდვას უყრის საფუძველს. ჩვენ თავად ვერ გამოვისყიდით საკუთარ თავს. ჩვენ ვართ და დავრჩებით ცოდვილები. ჩვენი ღვთის სასუფეველში შესვლის უზრუნველყოფას თავად ვერ შევძლებთ. მარტივად რომ ვთქვათ, განწმედა და დიდებით შემოსვა გვჭირდება. ეს მარტო ღმერთს შეუძლია. ვერ ვიტყვით: მე კარგი ადამიანი ვარ და იმის ღირსი ვარ, რომ ღვთის სასუფეველში შევიდეო. ეს არ მუშაობს. ღმერთი ქმნის ჩვენი გამოსყიდვის საფუძველებს, ჩვენ კი მისი პირობები უნდა დავიცვათ. ის თავის ერთგულებს გამოისყიდის და მის სასუფეველში შესვლის უფლებას მისცემს. მისი სურვილია, რომ, რაც არ უნდა მოხდეს, ბოლომდე გვწამდეს იესო ქრისტესი და რწმენის ამ გზით ვიაროთ. ეს ყოველთვის სასიამოვნო და მოსახერხებელი არ არის. ხშირად ალბათ სხვა გზით სიარულს ვამჯობინებდით. ჩვენთვის კარგი იქნებოდა, თუ ღმერთი თავის სიყვარულს დაგვიმტკიცებდა. კარგი იქნებოდა, თუ რაღაცეებს გვიჩვენებდა და აგვიხსნიდა. მაგრამ ის გვეუბნება: „არა, მე სამარადჟამო არჩევანი გავაკეთე. უბრალოდ უნდა ირწმუნო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა მომენდო. სიტყვას გაძლევ და იმასაც გეტყვი, რა უნდა გააკეთო. მიენდე ჩემს სიტყვას. მიენდე ჩემს სიყვარულს.“

ეს არის განწმედის, განდიდების ერთადერთი გზა. ეს რწმენის გზაა. და ასეთად დარჩება იგი



იმ შემთხვევაშიც, თუ, რასაც ხედავ, ნათქვამს არ შეესაბამება. მაშინაც კი უნდა მიენდო ღმერთს, თუ, რასაც განიცდი, სულ სხვანაირია, ვიდრე ის, რაც გითხრეს. მიენდე მას. მიენდე მის სიტყვას. მიენდე მის სიყვარულს. თუ მიენდობი მას, ის შენ გამოგისყიდის, განგწმედს, განგადიდებს. შენ მის სასუფეველში შესვლას შეძლებ.

გამოსყიდვას ის ქმნის. მაგრამ მხოლოდ იმათ გამოისყიდის, რომლებიც ბოლომდე უერთგულებენ მას. ის შეასრულებს თავის გეგმას. ჩვენ მოწოდებულნი ვართ, გავხდეთ ქრისტეს სასძლოს ნაწილი, ქრისტეს ეკლესიაში მოციქულთა მემკვიდრეობით მოვემზადოთ, შევიდეთ ღვთის სასუფეველში როგორც პირმშონი. ღმერთი აღასრულებს ყოველივე ამას. ვერავინ შეუძლის მას ამაში ხელს. ის უზრუნველყოფს, რომ ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც მას სურს. ის აკეთებს იმას, რაც სურს, და აღგვითქვა, რომ ბოროტი ვერასოდეს დათრგუნავს ეკლესიას.

იესომ დადო აღთქმა, რომ აღსასრულამდე მოციქულებთან იქნებოდა. გავიხსენოთ გველუშაპი გამოცხადებიდან, რომელიც დედაკაცზე თავდასხმას აპირებდა, თუმცა ვაჟის გაჩენისათვის ხელშეშლა ვერავინ შეძლო და ვერავინ შეძლო მისი ღმერთთან ატაცების დაბრკოლებაც (გამოცხ. 12, 1-5). ყველა ეს მოწმობა ღმერთზე ნიშნავს იმას, რომ ღმერთი უზრუნველყოფს იმის განხორციელებას, რაც გადაწყვიტა. მისთვის ეს უკვე მოხდა. გამოცხადებაში ეს ყველაფერი წარსულშია აღწერილი. ის, რაც იქ არის ნაჩვენები, ამ წუთში კი არ ხდება, არამედ ის უკვე მოხდა, ვინაიდან ღვთისათვის დრო არ არსებობს. ის წინასწარ არ იუწყება. არ წინასწარმეტყველებს. ის სინამდვილეს აღწერს, რამეთუ დროზე მაღლა დგას იგი. მისთვის ყველაფერი ცხადია. ყველაფერი გაკეთებულია. და მისი დაბრკოლება ვერავინ შეძლო.

ნუ შეშფოთდებით, ბოროტი ვერ დაიპყრობს ეკლესიას. მოციქულები შეძლებენ, რომ თავიანთი ამოცანა ბოლომდე შეასრულონ და ქრისტეს სასძლო ღვთის სასუფეველში შევა. ღმერთი გააკეთებს ამას. მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს, რომ დრო შეზღუდულია და, რომ მისი ძე მაშინ მოვა, როცა ამას თვითონ გადაწყვეტს. კიდევ ერთხელ: ჩვენ, პატარა ადამიანებს, არ შეგვწევს უნარი, რომ მასზე გავლენა მოვახდინოთ. ღმერთი ადამიანებზე არ არის დამოკიდებული. ის მაშინ მოავლენს თავის ძეს, როცა სურს. ღვთის ძე ჯერ არ მოსულა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მოსვლა არ შეეძლო, არამედ იმიტომ, რომ ღმერთს არ სურს ეს. იმისათვის, რომ ხსნის გეგმა სისრულეში მოიყვანოს, მას ჩვენ არ ვჭირდებით. ცოტა ხნის წინ ვთქვი: იესოს 50 წლის წინათაც შეეძლო მოსვლა და ყველა მათგანის თანწყევანა, ვინც მზად იქნებოდა. ის რაოდენობაზე ან ადამიანების თვისებებზე არ არის დამოკიდებული. მცირე რაოდენობითაც შეუძლია დიდი საქმის კეთება. მას 50 წლის წინ შეეძლო მოსულიყო. თუმცა ეს იმიტომ არ გააკეთა, რომ ღმერთს არ უნდოდა მისი უფრო ადრე მოსვლა, ვინაიდან ვუყვარვართ მას და ჩვენთვის მომზადების შანსის მოცემა უნდა. ის იმას აკეთებს, რაც სურს; რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ეს სერიოზულად უნდა მივიღოთ და გავაცნობიეროთ, რომ წყალობის ჟამი შეზღუდულია. ზოგჯერ ასეთი რამ მესმის: „კარგი, დავუშვათ არ ვიქნებით ქრისტეს სასძლოს რიგებში, მაგრამ მშვიდობის სასუფეველში ხომ მაინც მოგვეცემა ხსნის მიღწევის შესაძლებლობა?!“

უფალი იმას აკეთებს, რაც სურს. მე ამ ეპოქაში მიხმობ მან. წინასწარ ვერ ვიტყვი, რომ ეს მშვიდობის სასუფეველის ჟამსაც ეხება. ღმერთი ისე მოქმედებს, როგორც მოსწონს. ვერ ვეტყვი ღმერთს: „მზად არ ვიყავი, ზეციური მამაო, მეორე შანსი მომეცი.“ შეიძლება მომცეს, შეიძლება არც მომცეს. არავის ვემუქრები და არ ვაფრთხილებ: „ყურადღებით იყავი!“ მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ, ადამიანები, ვერ ვეტყვით ღმერთს, თუ რა უნდა გააკეთოს მან.

ამჟამად ის მოგვიწოდებს: „მოდი, და მიიღე გადაწყვეტილება!“ მე არ მაქვს მასზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა, რომ მეორე შანსი მომცეს, და ვერც ვხედავ ამ შესაძლებლობას. არ ვიცი, გააკეთებს იგი ამას თუ არა. ის არ შემეკითხება, რა მინდა მე.

ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთის მოწოდებას ახლა უნდა ვუპასუხოთ. ახლა ჩვენთვის წყალობის ჟამია. რამოდენიმე სიტყვით ხომ არ შევაჯამო ეს? ღმერთს სურს, რომ თანაზიარება გვქონდეს მასთან. მან ჩვენი არჩევა გადაწყვიტა. ის ახლა, ამ დროში გვიხმობს. ამ მოწოდებაზე შეგვიძლია ან

„დიახ“ ვუთხრათ მას და ან „არა“ - ყოველგვარი გარემოებებისგან დამოუკიდებლად. ვერავინ იტყვის: განსაკუთრებული გარემოებების გამო ერთგულება ვერ შევინარჩუნეო. ეს ასე არ არის. ღმერთი ერთგულია. ის ყოველთვის ზრუნავდა იმაზე, რომ მისთვის თანხმობის თქმა შენთვის შესაძლებელი ყოფილიყო ან კონკრეტული გზა არსებულებო ამისთვის. ვერაფერი მაიძულებს მის მიტოვებას. ეს მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული. ჩემი ხსნა ჩემს რწმენაზე და ჩემს იმისათვის მზადყოფნაზეა დამოკიდებული, რომ გავყვე მას და თანაზიარება მქონდეს მასთან. ეს არის მთავარი, ძმებო და დებო: ჩემი ხსნა ჩემზეა დამოკიდებული, მხოლოდ ჩემზე. ჩემი ხსნა ჩემს რწმენაზეა დამოკიდებული. ამიტომაც სთხოვეს მოწაფეებმა მას: „გვიმრავლე რწმენა“ (ლუკ. 17, 5). როგორ უნდა გამრავლდეს ჩვენი რწმენა? იესომ თავად გადაწყვიტა ეს. პავლე ამბობს, რომ რწმენა მოსმენიდან მოდის (რომ. 10, 17). ქადაგება, ღვთის სიტყვა, უნდა მოვისმინოთ, რომ გვექონდეს რწმენა და გამრავლდეს იგი.

იესო იმათთვის ლოცულობდა, რომლებიც მოციქულთა ქადაგების მეშვეობით მივიდნენ მისადმი რწმენამდე (იოან. 17, 20). პირველმოციქული ფერი ხშირად ამბობდა და მეც მინდა ხაზი გაუღუსვა შემდეგს: „ხსნა რომ მოვიპოვოთ, ნებისმიერ სიტუაციაში ძლიერი რწმენა გვჭირდება, ხოლო რწმენის გაძლიერების ერთადერთი გზა მოციქულთა მიერ ნაქადაგები სახარების მოსმენაა.“ როცა „მოსმენას“ ვამბობ, ეს მარტო მსმენელს არ ეხება, რათა შემდეგ თქვას, რომ მან ესა და ეს თქვაო. სიტყვა უნდა „შეგჭამოთ“, „მოვინელოთ“, უნდა ვიმუშაოთ მასზე. დღევანდელი დღის პრობლემა ეს არის. საზოგადოება „ფასტ ფუდს“ არის შეჩვეული, ვფიქრობ კანადამიც ზუსტად ისეა, როგორც საფრანგეთში და ევროპაში. ჩვენ გამზადებული საჭმელები გვაქვს, სწრაფი კვება. ყველაფერი უკვე მზად არის. ღვთის სიტყვის შემთხვევაში ასე არ არის. თუ კაცს მისგან სარგებელი უნდა, უნდა იმუშაოს ამ სიტყვაზე, იფიქროს მასზე და ჩაუღრმავდეს მას. ასეთი კითხვა უნდა დასვას: „რას ნიშნავს ის ჩემთვის? რა უნდა ვქნა?“ რაც უფრო მეტს იმუშავებს ადამიანი ნაქადაგებ სიტყვაზე, მით უფრო უკეთესად „მოინელებს“ მას, მით უფრო განუმტკიცდება რწმენა. ეს ახალსამოციქულო მოციქულების გამოგონილი არ არის იმიტომ, რომ ეკლესიაში მორწმუნეთა სიმრავლე უზრუნველყოფს. ეს ღვთის ნებაა. ის იმას აკეთებს, რაც სურს. ის იღებს გადაწყვეტილებას - და მან გადაწყვიტა, რომ ეს არის გზა, ერთადერთი გზა, რაც მტკიცე რწმენამდე მიიყვანს კაცს. მოისმინე ღვთის სიტყვა, „შეჭამე“, „მოინელე“, იმუშავე მასზე. ეს არის მთავარი.

გარდა ამისა, სურვილი უნდა გვექონდეს, რომ

ღმერთს ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერ პირობებში ვუთხრათ თანხმობა. და ეს არა იმიტომ, რომ საფრთხეს გვინდა თავი დავაღწიოთ, ავადმყოფობანი ან სხვა მსგავსი პრობლემები ავიცილიოთ თავიდან. ღმერთს თანხმობას იმიტომ ვუბნებით, რომ მასთან ყოფნა გვინდა, იმიტომ, რომ გვიყვარს იგი. ჩვენ აქ ვართ, რამეთუ რწმენის განმტკიცება გვსურს, რათა გავყვეთ უფალს, რათა ღვთისადმი სიყვარული განვიმტკიცოთ. ერთადერთი გზა ჩვენთვის იესო ქრისტეს შემეცნებაში ზრდაა. ხშირად მითქვამს და, მართლაც, ასე ვფიქრობ: რაც უფრო მეტად ეცნობი იესოს, უფრო მეტად გიყვარდება იგი, უფრო გიძლიერდება სურვილი, რომ გაჰყვე მას და მასთან იყო. მოდით, კავშირი გვექონდეს იესოსთან. როცა ბიბლიას ვკითხულობთ, კარგად ჩანს, თუ რამდენი რამ გააკეთა მან. ეს დღესაც გვეუბნება რაღაცას. რას იზამდა იესო დღეს? რას ნიშნავს ჩემთვის ეს დღევანდელ სიტუაციაში, რა გააკეთა მან ჩემთვის, რას აკეთებს და რას გააკეთებს მომავალში? რაც უფრო ღრმად ჩვენი კავშირი იესოსთან, რაც უფრო უკეთ ვეცნობით მას, მით უფრო გვიყვარდება იგი, მით უფრო გიძლიერდება მისი მიმდევრობის სურვილი. ეს გვაძლევს იმის ძალას, რომ ნებისმიერ პირობებში, ნებისმიერ სიტუაციაში თანხმობა ვუთხრათ ღმერთს.

ღმერთი იმას აკეთებს, რაც სურს. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მის ნებას. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მას ჩვენი გამოსყიდვა სურს. მან ამოგირჩია შენ და გეუბნება, თუ რა უნდა გააკეთო. გადაწყვეტილება შენი მისაღებია.

თუ საკმარისი რწმენა და საკმარისი სიყვარული გვექნება, მაშინ შევძლებთ, რომ ბოლომდე ვუბნებოდეთ ღმერთს „დიახ“, ის კი განგვადიდებს.

ღვთისმსახურება

ღმერთს ჩვენი ხსნა სურს. მან ამოგირჩია და მოგვიწოდა, რომ მის სასუფეველში შევსულიყავით როგორც პირმშონი. ის ზრუნავს იმაზე, რომ ყოველთვის შევძლოთ, გავყვეთ მის მოწოდებას. ჩვენი ხსნა ღმერთთან ყოფნის ჩვენს რწმენასა და ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

სამხ. მოციქული რაინერ შტორკი სტუმრად კავკასიაში



ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.



ავლაზრის თემის გუნდი

ორი წლის მერე, 2019 წლის 26-28 ოქტომბერს, სამხ. მოციქული რაინერ შტორკი საქართველოსა და აზერბაიჯანის თემებს ესტუმრა.

ამ ვიზიტის დროს სამხ. მოციქულმა მოციქულ შუგთან ერთად ორივე ქვეყნის თემებისათვის იმსახურა, რომლებიც თბილისისა და ბაქოს ეკლესიებში შეიკრიბნენ.

მღვდელმსახურთათვის ღვთისმსახურებაზე, რომელიც სამხ. მოციქულმა თბილისში ჩაატარა, აქტიური მღვდელმსახურები გაამხნევა და მადლობა გადაუხადა მათ ერთგულებისა და მხარში დგომისათვის.

მანიმსახურაიერემიაწინასწარმეტყველისწიგნიდან აღებული ციტატით (7, 3): „ასე ამბობს უფალი ცაბაოთი, ისრაელის ღმერთი: გამოასწორეთ თქვენი გზები და თქვენი მოქმედებანი და დაგასახლებთ ამ ადგილზე“. „მოდით, ამ სიტყვებით შევუდგეთ ჩვენს საქმეს“, თქვა ბოლოს სამხ. მოციქულმა.

რაც შეეხება ღვთისმსახურებას საქართველოს ღვთის შვილებისათვის, რომელსაც დაახ. 90 და-ძმა და სტუმარი ესწრებოდა და რომელიც ავლაზრის

ეკლესიაში ჩატარდა, სამხ. მოციქულმა რ. შტორკმა საფუძვლად დაუდო ციტატა იუდას ეპისტოლეიდან - 20. 21.

ქადაგებისას მან, პირველ რიგში, მადლობა გადაუხადა მონაწილეებს ერთგულებისა და სიმტკიცისათვის. იმ სასიამოვნო გარემოსა და ატმოსფეროში, რომელიც ეკლესიაში იგრძნობოდა, ქადაგება მან ბიბლიური ციტატის განმარტებებით გააგრძელა. ეს სიტყვა განსვენებულთა მოსახსენებელი ღვთისმსახურების მომზადებას ემსახურებოდა.

სამხ. მოციქულმა აღნიშნა, რომ არსებობს მიზეზები, რის გამოც ადამიანები ღმერთს შორდებიან. ეგოიზმმა, რომელსაც ორი ფეხი აქვს: „ღმერთივით მინდა ვიყო“ და „ეს ცოდვა სხვისი ბრალია“, ადამისა და ევას ღმერთთან თანაზიარებას მოულო ბოლო.

ღმერთთან დაბრუნება მხოლოდ იესო ქრისტეს მიმართ უწმიდესი რწმენით არის შესაძლებელი. ამ რწმენასაც ორი ფეხი აქვს, კერძოდ, „მინდა, რომ სახარებისამებრ ვიცხოვრო“ და „უფალო, შემიწყალე მე, საცოდავი ცოდვილი“.



სამხ. მახარებელ მ. ხიზანიშვილს და მხარებელ ზურაბ ქველაძეს სამხ. მოციქული რ. შტორკი წინამძღვრობის დავალებას აკისრებს.

ცოდვათა მიტევებისა და წმიდა ზიარების შემდეგ სამხ. მოციქულმა ზიარება განსვენებულთათვისაც ჩაატარა.

ამის შემდეგ სამხ. მოციქულმა შტორკმა რამოდენიმე მღვდელმსახურს საკურთხეველთან უხმო სახვადასხვა მღვდელმოქმედების ჩასატარებლად. მახარებელ ზურაბ ქველაძეს ბათუმისა და ფოთის თემების წინამძღვრობა დაევალა, სამხ. მახარებელ მიხეილ ხიზანიშვილს კი - თბილისის თემის წინამძღვრობა, იგი დაინიშნა ასევე სამხ. ხუცესის წარმომადგენლად საქართველოში.

მღვდელი დონალდ ლიუვენდაალი თბილისის თემის მღვდლად დაამტკიცეს. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით იგი ყატარიდან საქართველოში გადმოვიდა სამუშაოდ.

ბოლოს სამხ. მოციქულმა რ. შტორკმა სამხ. მახარებელი მინდია მალრაძე თბილისის თემის წინამძღვრობიდან გაათავისუფლა. სამხ. მმოციქულმა მადლობა გადაუხადა მას ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის ეკლესიაში და სთხოვა, რომ კვლავაც გაეგრძელებინა ზრუნვა და-ძმების სულებზე.

ღვთისმსახურება საბოლოო ლოცვითა და კურთხევის მოფენით დასრულდა.

ღვთისმსახურების შემდეგ ყველა და-ძმა და სტუმარი მადლიერების გრძნობით გამოემშვიდობა მოციქულებს.

ორშაბათს, 28 ნოემბერს, მოციქულები გერმანიაში დაბრუნდნენ.

სამხ. ხუცესი იურგენ ფოლმანი

ვენახში მომუშავეების შესახებ

მათ. 20, 1-16-ის მიხედვით

იესო მოწაფეებს კვლავ ღვთის სასუფეველის შესახებ უყვებოდა. მან ის სახლის პატრონს შეადარა, რომელიც მუშაკებს ქირაობდა. მათ მისთვის დროის სხვადასხვა მონაკვეთებში იმუშავეს, სხვადასხვა ხანგრძლივობით, თუმცა ერთნაირი გასამრჯელო მიიღეს.

სახლის პატრონი დილაადრიან გავიდა სახლიდან მუშაკთა დასაქირავებლად. „მუშაკებს დღეში თითო დინარად მოურიგდა“ და თავის ვენახში გააგზავნა. სამი საათის შემდეგ დაინახა, რომ ბაზარში კაცები უქმად იდგნენ, ჯერ კიდევ ვერ ეშოვნათ სამუშაო. უთხრა მათ: „წადით თქვენც ჩემს ვენახში და, რაც გერგებათ, მოგცემთ“. ისინიც წავიდნენ.

ექვსი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი მუშაკები გაგზავნა მან თავის ვენახში, და ისევ წავიდა ბაზარში და ახალი მუშაკები

დაიქირავა. სამი საათის შემდეგ ეს პროცესი კიდევ განმეორდა. მას მერე, რაც პირველად დაქირავებული მუშაკები თერთმეტი საათის განმავლობაში მუშაობდნენ, სახლის პატრონმა კვლავ იპოვა უმუშევარი კაცები. ჰკითხა მათ: „რატომ დგახართ აქ მთელ დღეს უქმად?“


მათ კი მიუგეს: „იმიტომ, რომ არავინ დაგვიქირავა.“ მან ისინიც გააგზავნა თავის ვენახში.

მოსაღამოვდა. სახლის პატრონმა მოურავს უთხრა: „დაუძახე მუშაკებს და გადაუხადე ქირა. პირველად იმათ გადაუხადე, ვინც ყველაზე ბოლოს დაიწყო მუშაობა.“

და აჰა, მოვიდნენ ის მუშაკები, რომლებიც მეთერთმეტე საათზე დაიქირავეს; ყველამ თითო დინარი მიიღო. ბოლოს იმ მუშაკებისთვის უნდა გადაეხადათ, რომლებიც პირველები იყვნენ. მათ იფიქრეს, რომ იმათზე მეტ ფულს აიღებდნენ, ვიდრე ისინი, ვინც მოკლე ხნით იმუშავა. თუმცა მათაც თითო დინარი შეხვდათ, როგორც მორიგებულები იყვნენ.

აბუზლუნდენ და სახლის
პატრონს უთხრეს: „ამ
უკანასკნელებმა მხოლოდ
ერთი საათი წაიმუშავეს
და ისინი ჩვენ გაგვიტოლეს,
ვინც დღის სიმძიმე და სიცხე
დავითმინეთ.“


ვენახის პატრონმა ერთ-ერთ
მათგანს უთხრა: „მეგობარო,
არ გაწყენინებ, განა დინარად
არ მოგირიგდი? აილე შენი
გასამრჯელო და წადი. მე
კი მინდა ამ უკანასკნელსაც
იგივე მივცე, რაც შენ. არ
მაქვს უფლება, რომ ჩემი
კუთვნილი ჩემი ნებისამებრ
განვაგო? იქნებ შენს თვალს
შურს, კეთილი რომ ვაჭმე?“





სტუმრად ვალენტინთან პარიზში (საფრანგეთი)

პარიზი საფრანგეთის დედაქალაქია, აქ ორ მილიონ კაცზე მეტი ცხოვრობს - მათ შორის მეც. მე მქვია ვალენტინი და ხუთი წლის ვარ. ყოველ კვირას დედასთან ერთად ღვთისმსახურებაზე დავდივარ. ვსწავლობ საკვირაო სკოლის მოსამზადებელ კლასში, ჩემს მასწავლებლებს ჰქვიათ პატრიცია და სტეფანია. აქ ერთად ვართ ექსკურსიაზე.



წინა წლის საშობაო დღესასწაულისათვის ჩვენ, ბავშვებმა, იესოს შობასთან დაკავშირებული პიესა მოვამზადეთ. მე მწყემსის ფორმა მეცვა და ჯობი მეჭირა. ცხვრებიც კი გავაკეთეთ. დიდი აპლოდისმენტებიც დავიმსახურეთ. მაგარი იყო!

წინა წელს პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი მოულოდნელად ესტუმრა ჩვენს თემს. როგორ

გავიხარეთ! ღვთისმსახურების ბოლოს პირველმოციქულთან ერთად სურათი გადავიღე.



ამ ზაფხულს მამაჩემ ანდრესა და დედაჩემ სონიასთან ერთად ნიუ-იორკში ვიყავი. თავისუფლების ქანდაკება ვნახეთ.



ამ მოგზაურობის დროს ნიუ-იორკელ მეხანძრეებთან ერთად სურათიც კი გადავიღე!



დავდივარ საბავშვო ბაღში, უფროს კლასში. მომავალ წელს დაწყებით სკოლაში შევალ, იქ კითხვას ვისწავლი. მე უკვე შემიძლია ჩემი სახელის დაწერა და 50-მდე თვლა. შეგიძლიათ ამ ფოტოზე ჩემს საბავშვო ბაღის მეგობრებს შორის მიპოვოთ? გიკარნახებთ: პირველ რიგში ვზივარ. ჩემს საუკეთესო მეგობრებს ჰქვიათ კლოტერი, ევანი და მაქსიმი.



ყველაზე ძალიან პლეიმობილის (თამაში კონსტრუქტორის ელემენტებით) თამაში მიყვარს. ჩემს მშობლებთან ერთად გასართობ პარკში ვიყავი, იქ ყველანაირი პლეიმობილის თამაში შეიძლება, რაც კი არსებობს. ძალიან მომეწონა. სპორტიც მიყვარს.



მიყვარს ცხოველები. როცა შვებულების დროს ზოოპარკში ვიყავით, შევეცადე პატარა კენგურუს მივახლოვებოდი. როცა ბებიას და პაპას სოფელში ვსტუმრობთ, ხშირად ვნახულობთ ხოლმე ირმებსა და გარეულ ცხვრებს, არხარებს.



ჩემს ბიძაშვილებს ჰქვიათ ტობიასი და დიანა. ტობიასთან ერთად ხშირად ინდიელებს ან მამონტზე მონადირეებს ვთამაშობ, მშვილდ-ისარით. აქ ჩვენ ინდიელთა კარვის - „ტიპის“ წინ ვართ.

ყველაზე მეტად მიყვარს სპაგეტი ბოლონეზე, მოხარშული კვერცხი და, რა თქმა უნდა, კარტოფილი ფრი. მიყვარს ასევე ხილი, ყველაზე მეტად მარწყვი და საზამთრო. ზოგჯერ მე თვითონაც ვამზადებ ხოლმე საჭმელს. აქ ხედავთ, თუ როგორ ვამზადებ რიზოტოს..





ფოტო: ოლეგერ რიუტენი

| აჰა, მოვალ მაღე!

ქრისტეს მეორედ მოსვლა ადამიანურ გამოთვლებს არ ექვემდებარება. რაც ვიცით, არის ის, რაც იესომ გვითხრა. თავის დამრიგებლურ წერილებში პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი ყველა კითხვას პასუხობს გარდა ერთისა.

რას ამბობს ბიბლია ღვთის საქმეებზე წარსულში? ღმერთი ბუნებასა და ისტორიაში ცხადდება. ღმერთის გამოცხადება ისტორიაში დაწვრილებით არის განხილული კატეხიზმომი: „ის, რომ ღმერთი ისტორიაში ცხადდება, ნათლად ჩანს ისრაელის ხალხის განვითარების პროცესში, როგორც ამაზე ძველი აღთქმა მოწმობს“ (კატ. 1. 1. 2).

„ხსნის ცენტრალური მოვლენა ისრაელის ხალხისათვის ეგვიპტის მონობიდან გათავისუფლება“ (კატ. 1. 1. 2). მაგ., ისრაელის ისტორიაში წაგებულ ომებს ღვთიურ სასჯელად თვლიდნენ. ბაბილონში ტყვეობაც ღვთიურ სასჯელად იქნა გაგებული, ხოლო იესრუსალიმში დაბრუნება - ღვთიურ წყალობად. ისტორიის ამგვარი გაგების მაგალითი 2. ნემ. 36, 19-23-შიც გვხვდება.

ახალი აღთქმის ცენტრალურ გზავნილს ღმერთის იესო ქრისტეში ისტორიული განკაცება წარმოადგენს: „ღმერთის განკაცება იესო ქრისტეში ღმერთის ისტორიული თვითგამოცხადებაა, რომელიც ყოველივე მანამდე არსებულს აჭარბებს“ (იოან. 1, 14; 1. ტიმ. 3, 16).

რა აკავშირებს არსებობს კაცობრიობის ისტორიასა და ხსნის ისტორიას შორის?

„ლუკ. 2, 1. 2-ში ღვთის ძის დაბადება აშკარად ისტორიულ ჩარჩოებშია მოქცეული“ (კატ. 1. 1. 3). ახალი აღთქმის ფორმულა „და როცა მოვიდა სისავსე ჟამისა“ საერო ისტორიასა და ხსნის ისტორიას შორის კავშირს ადგენს.

იმ დროს, როდესაც ლუკას სახარებაში იესოს შობა კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან კავშირშია მოყვანილი, გალ. 4, 4-ში მხოლოდ ეს არის ნათქვამი: „და როცა მოვიდა სისავსე ჟამისა, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, რომელიც დედაკაცისგან იშვა, და დაემორჩილა იგი რჯულს (...).“ თუმცა აქ თვალშისაცემია ის, რომ პავლე ნებისმიერ კონკრეტულ ისტორიულ მითითებას უფულვებელყოფს. აქ ლაპარაკი არ არის იმ გარეგან ისტორიულ პირობებზე, რომლებიც აუცილებელი იყო ღვთის ძის დაბადებისათვის, არამედ იმის ღრმა რწმენაა გამოხატული, რომ განკაცების ჟამი სწორი და ხსნის ისტორიისათვის შესაფერისი იყო. ის, თუ რატომ მოხდა ასე, მხოლოდ ღვთის ნებაშია ჩადებული.

მარკოზის მიხედვით (1, 15) იესოს საჯარო გამოჩენა და მისი უწყებანი ნიშანდობლივ ხასიათს ატარებს: „აღსრულდა ჟამი და მოახლოვდა ღვთის სასუფეველი. მოინანიეთ და იწამეთ სახარება!“ აქ არის მოცემული რწმენა იმისა, რომ იესო დამაჯერებლად და ავტორიტეტულად

იუწყება ღვთის ნებას, რაც ხსნის ისტორიასა და მისი მსვლელობის პროცესში იესოს პიროვნების აღიარების წინაპირობაა.

როგორ უნდა შეძლოს კაცმა ღვთის ნების გაგება? ვისაც იესოსი სწამს, ის იმასაც ხვდება, რომ ღვთის სასუფეველი მასშია. გარეგნული ნიშნები კი იესოს საქმეებია - მისი უწყებანი, მისი სასწაულები -, რომელთა ღვთიური წარმოშობაც ასევე მისადმი რწმენით ხდება ნათელი.

შევაჯამოთ: ძველი და ახალი აღთქმისათვის ბუნებრივია ასეთი აზრი: ღმერთი ისტორიაში მოქმედებს. თუმცა იმ ცოდნის გასაღები, რომ ღმერთი ისტორიაში მოქმედებს, თავად ისტორია კი არ არის, არამედ რწმენა.

ქვემოთ უნდა შევჩერდეთ შემდეგ საკითხზე: შეიძლება თუ არა, რომ კონკრეტული ისტორიული მოვლენები ხსნის ისტორიის მდგომარეობის ობიექტურ ნიშნებად და მითითებებად შევაფასოთ. აზრი აქვს იმას, რომ ქრისტეს მოახლოებული მეორედ მოსვლის ნიშნები თანამედროვე ისტორიაში ვეძებოთ?

არსებობს ქრისტეს მოახლოებული მეორედ მოსვლის ნიშნები?

სინოპტიკურ სახარებებში, რომლებიც მათეს, მარკოზისა და ლუკას შემდეგ შეიქმნა, იესოს მიერ ნათქვამი, ე. წ., ბოლო ჟამისეული სიტყვა გვხვდება. მასში ის მოვლენებია დასახელებული, რომლებიც ღვთის ძის მოვლინებაზე მიუთითებენ.

მარკ. 13, 4-10-ში მოწაფეები იესოს ბოლო ჟამის შესახებ ეკითხებიან და ასეთ პასუხს იღებენ: „გვითხარი, როდის მოხდება ეს, და რა იქნება იმის ნიშანი, როცა ყოველივე ეს უნდა მოხდეს?“ იესომ დაუწყო მათ ლაპარაკი: ‘გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ, რადგან ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან, მე ვარო, და მრავალს შეაცდენენ. როცა მოისმენთ ომებზე და ომების ხმებზე, ნუ შეძრწუნდებით: ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღსასრული. აღდგება ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ. იქნება მიწისძვრები ადგილ-ადგილ და შიმშილობები. ეს მშობიარობის ტკივილთა დასაწყისია. თქვენ კი მიხედეთ თქვენს თავს: გადაგცემენ სამსჯავროზე, გცემენ სინაგოგებში, განმგებელთა და მეფეთა წინაშე წარდგებით ჩემს გამო, მათ წინაშე დასამოწმებლად. ჯერ სახარება უნდა ექადაგოს ყველა ერს.“ ამავე დროს, იესო მოწაფეებს ცრუქრისტეების გამო აფრთხილებს, რომლებიც ასპარეზზე გამოვლენ: „მაშინ თუ ვინმე გეტყვით: აჰა, აქ არისო ქრისტე, ან: აჰა, იქო, არ ერწმუნოთ. ვინაიდან აღდგებიან ცრუქრისტეები და ცრუწინასწარმეტყველნი და

მოიმოქმედებენ სასწაულებსა და ნიშნებს, რათა რჩეულნი შეაცდინონ“ (მარკ. 13, 21. 22).

და ბოლოს, ღვთის მის მოსვლაზე ანუ იესო ქრისტეს მეორედ მოსვლაზე საუბარი: „მაგრამ იმ დღეებში, იმ გასაჭირის შემდგომ მზე დაბნელდება და მთვარე აღარ გამოსცემს თავის ნათელს. იქნება ვარსკვლავთა ცვენა და შერიყევიან ციური ძალები. მაშინ იხილავენ კაცის ძეს, ღრუბლებზე მომავალს დიადი ძალით და დიდებით. მაშინ იგი წარგზავნის თავის ანგელოზებს და შეკრებენ მის რჩეულებს ოთხთავ ქართაგან, მიწის კიდიდან ცის კიდემდე“ (მარკ. 13, 24-27).

რატომ არ არის ისტორიული მოვლენები იესოს მეორედ მოსვლის მანიშნებელი?

როცა ამ მუხლებს ვკითხულობთ, თავიდან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს კონკრეტული ისტორიული მოვლენების შესაბამისობაში მოყვანა შესაძლებელი იყოს. მაგრამ, თუ უფრო ყურადღებით დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ეს ასე არ არის. ბოლო ჟამის ინდიკატორებად დასახელებულია ომები, ცრუმოდვრებანი, ქრისტიანთა დევნა, მაგრამ ასევე პოზიტიური მოვლენები, როგორცაა სახარების საყოველთაო ქადაგება. გარდა ამისა, - და ეს უკვე ისტორიის მიღმა მოვლენებია -, მინიშნებად კოსმიური მოვლენებია ნახსენები: მზისა და მთვარის დაბნელება, ვარსკვლავთა ცვენა და „ციურ ძალთა“ რყევა. „ციურ ძალთა“ რყევაზე 2. პეტ. 3, 10-შიც არის ლაპარაკი: „[...] მაშინ ზეცანი გრგვინვით გადაივლიან, გავარვარებულნი კავშირნი დაიშლებიან.“

თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით ტექსტს, დავრწმუნდებით, რომ მასში მოცემული გამონათქვამების კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირება შეუძლებელია. ისტორიულ მოვლენებს ყოველთვის უყურებდნენ როგორც კოლოსალურსა და უნიკალურს და ამდენად, მათ ქრისტეს მეორედ მოსვლაზე მითითებებად თვლიდნენ. გავიხსენოთ თუნდაც კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესიის მიერ საფარანგეთის რევოლუციის შეფასება როგორც ბოლო ჟამის მოვლენისა. ხშირად მხოლოდ ევროპა ჰქონდათ მხედველობაში და ამ დროს ავიწყდებოდათ ის ისტორიული კატასტროფები, რომლებიც სხვა კონტინენტებზე ხდებოდა. ვერც ჩვენ ვიტყვით, თითქოს ის, რასაც განვიცდით, უფრო საშინელი და აუტანელია, ვიდრე ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა ან სხვა კონტინენტზე მცხოვრებმა ხალხებმა განიცადეს ან ამჟამად განიცდიან. უფრო ის უნდა ვაღიაროთ, რომ მთლიანობაში ისტორიული მოვლენები ქრისტეს მეორედ მოსვლის აუცილებლობაზე მიუთითებს.

შეიძლება, რომ ნიშნები რწმენის გარანტია იყოს?

ახალსამოციქულო ტრადიციებში მოციქულის სასულიერო თანამდებობის პიროვნული აღდგენა ქრისტეს მეორედ მოსვლაზე მითითებად არის გაგებული. კატეხიზმომი (4. 4) ხსნის გეგმასთან დაკავშირებულ მსჯელობებში ნათქვამია, რომ მოციქულის სასულიერო თანამდებობის პიროვნული აღდგენის მიზანი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის სასძლო თემის მომზადებაა. ეს აზრი სხვა ადგილებშიც არის ხაზგასმული, მაგ., კატ. 6. 4. 2. 3-ში: „ახლად (19-ე საუკუნეში) მოწოდებულ მოციქულთა მოღვაწეობის შედეგად კიდევ ერთი ქრისტიანული კონფესია კი არ უნდა ჩამოყალიბდეს, არამედ მის მიზანს მთელი ქრისტიანობის უფლის მეორედ მოსვლისათვის მომზადება წარმოადგენს.“ მაშასადამე, მოციქულის სასულიერო თანამდებობა არის ნიშანი იმისა, რომ ხსნის ისტორია იმ ფაზაში შევიდა, რომელიც ქრისტეს მეორედ მოსვლით უნდა დასრულდეს. თუმცა მოციქულის ამჟამინდელი სასულიერო თანამდებობა მხოლოდ იმ ადამიანისათვის არის ნიშანი და მითითება ქრისტეს მეორედ მოსვლაზე, ვისაც სწამს, რომ ეს თანამდებობა ღვთის საქმის წყალობით გამოვლინდა ისევ.

თუ იმის მცდელობა იქნება, რომ განსაკუთრებული ისტორიული მოვლენები ქრისტეს მალე მეორედ მოსვლის ნიშნად იქნას გაგებული, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლისადმი რწმენას გარანტია და დადასტურება სჭირდება. მოთხოვნა იმ „ნიშნებთან“ მიმართებაში, რომლებიც, მაგ., იესოს უფლებამოსილებას დაადასტურებდნენ, რადიკალურად უარყო თავად იესომ: „ხოლო მან მიუგო პასუხად: ‘ბოროტი და მრუში მოდგმა ეძებს ნიშანს, მაგრამ ნიშანი არ მიეცემა მას, გარდა იონა წინასწარმეტყველის ნიშნისა“ (მათ. 12, 39). „იონა წინასწარმეტყველის ნიშანი“ იესოს მკვდართა საუფლოში ყოფნა და მისი აღდგომაა. მაგრამ ამ ნიშნის მიღება მხოლოდ რწმენით არის შესაძლებელი. ისტორიული ნიშნების მტკიცებულებებად მოყვანა ახალი აღთქმის მოწმობას ეწინააღმდეგება. რწმენის გარანტირება ნიშნების მეშვეობით შეუძლებელია! ამაზე პავლეც მიუთითებს (1. კორ. 1, 22. 23), როცა კრიტიკულად შენიშნავს: „რადგან იუდეველნი მოითხოვენ სასწაულებს და ბერძენები სიბრძნეს ეძებენ, ხოლო ჩვენ ვქადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს: იუდეველთათვის საცდურს, ბერძენთათვის - უგუნურებას.“

ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი ისტორიაში მოქმედებს. ის ისრაელის ხალხზე მოქმედებდა, მოქმედებდა მთელ კაცობრიობაზე იესო ქრისტეს მეშვეობით, მოქმედებს ეკლესიის პერიოდშიც. რა თქმა უნდა,



ფოტო: © vectorfusionart - stock.adobe.com

ეკლესიის ისტორიაში მიმდინარე მოვლენები სულიწმიდის საქმეებად შეიძლება გავიგოთ, ასე მაგალითად, ეკუმენური საეკლესიო კრებები ან მოციქულის სასულიერო წოდების პიროვნული აღდგენა, რომლებიც ქრისტეს მეორედ მოსვლის აღთქმას ადასტურებენ. მეორედ მოსვლასაც ისტორიული მოვლენის ხასიათი ექნება. თუმცა ჩვენთვის დღეს მთავარია, მივხედოთ იესო ქრისტეს აღთქმას, რომ ის კვლავ მოვა.

შეუძლიათ ადამიანებს იმაზე მეტის გაკეთება, ვიდრე რწმენა და მზადყოფნაა?

ბოლო ჟამის სიტყვის მათესეული ვერსია საქმის არსზე ლაპარაკობს და მნიშვნელოვან იმპულსს გვამძღვრს. იქ ნათქვამია: „ამიტომ თქვენც მზად იყავით, ვინაიდან, რომელ საათზეც არ ფიქრობთ, მაშინ მოვა ძე კაცისა“ (მათ. 24, 44). ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლისადმი რწმენის გარანტირება განსაკუთრებული ისტორიული მოვლენებით შეუძლებელია. ის რწმენა რწმენა არ არის, როცა მის გამართლებას

თანამედროვე მოვლენების საშუალებით ვახდენთ იმ სახით, როგორც მედია გვაწვდის მათ.

იესო მაშინ მოვა, როცა გადაწყვეტს ამას და რისთვისაც არ იქნება მოცემული ის ისტორიული ნიშნები, რომელთა ობიექტივირებაც შესაძლებელი იქნება. არ შეიძლება, რომ ამ მოვლენის სიახლოვე თუ სიშორე ჩვენს სამყაროში არსებულ საშინელ მოვლენებში ამოვიკითხოთ და ვთქვათ: „ახლა კი უნდა მოვიდეს უფალი.“ ერთადერთი ნიშანი იესოს არის: „მე გაუწყებთ, გეტყვით. მალე მოვალ!“ ამ აღთქმაზე კი გამუდმებით ლაპარაკობენ მოციქულები და ადასტურებენ მას. აქ აუცილებელია რწმენა, რწმენა ბიბლიური მოწმობისადმი და მოციქულებისადმი. მოდით, დავიცვათ და ვაღიაროთ ეს რწმენა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იესო ქრისტეს აღთქმაზეა დაფუძნებული. მისი გარანტირების ყოველი მცდელობა უნდობლობის ვოტუმი იქნებოდა ღვთის ერთგულების მიმართ მისი აღთქმისადმი.

სატიტულო ფურცელი

გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/ შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი



პროგრამა

- 05. 01. 2020 წ. ნევშატელი (შვეიცარია)
- 11. 01. 2020 წ. წზაგი (ანგოლა)
- 12. 01. 2020 წ. დუნდო (ანგოლა)
- 07. 02. 2020 წ. დუნდო (ანგოლა)
- 09. 02. 2020 წ. პო (ბურკინა-ფასო)
- 16. 02. 2020 წ. ჰაგენი (გერმანია)
- 21. 02. 2020 წ. ლაჰორი (პაკისტანი)
- 23. 02. 2020 წ. კარაჩი (პაკისტანი)
- 01. 03. 2020 წ. ბერლინი (გერმანია)
- 22. 03. 2020 წ. კისიდუგუ (გვინეა)

New Apostolic Church
International

